ოქმი:**ო02. 3726083001**

თარიღი:**24/03/2026**

ოქმი №4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2026 წელი, 23 მარტი

ქ.ოზურგეთი

17:00-17:30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ნ. გობრონიძე, ნ. ურუშაძე, ლ. კილაძე, პ. კიღურაძე, ნ. ჭანიშვილი, დ. ხურციძე, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ზ. სალუქვაძე, ზ. მორჩილაძე, გ. გაბისიანი, ლ. ქვილორია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გასახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გასახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩისათვის „ჯემალ გახოკიძის“სახელის მისანიჭებლად, გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე, გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ პროექტით გათვალისწინებულია ქ. ოზურგეთში კოსტავას N129 -ში მდებარე საცხოვრებელი ბინების გარე ფასადის და საჭიდაო დარბაზ „ამირანის“ რეაბილიტაცია. პროექტი აკმაყოფილებს თვითმმართველობის მსგავსი დოკუმენტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და იგი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვის მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, რომელიც ანალოგიურად ეხებოდა ქ. ოზურგეთში იმავე კოსტავას ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობას.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ ეს პროექტიც აკმაყოფილებს თვითმმართველობის მსგავსი დოკუმენტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და იგი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი- განაცხადა, რომ საკითხი ეხებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაცუიულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდებას, ჯემალ გახოკიძის გარდაცვალებიდან, რომლის სახელიც უნდა ეწოდოს ქუჩას, არაა გასული კანონმდებლობი განსაზღვრული ვადა, ამიტომ უნდა დაიშვას გამონაკლისი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი სამივე საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი